თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
მორიგი სხდომის

ო ქ მ ი № 4

23 მარტი 2018 წ. ქ. თელავი

სხდომას ესწრებოდნენ: 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად არჩეული 31 დეპუტატი:

თავმჯდომარეობდა: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე არჩილი თხლაშიძე;

ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გიგა ორკოდაშვილი;

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და
იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ნანა ხვისტანი

საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების
მართვის საკითხთა კომისიის
თავმჯდომარე ალექსანდრე შათირიშვილი;

საკრებულოს სოციალური, კულტურის,
განათლების და ახალგაზრდულ
საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ლევან კოჭლოშვილი;

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული
დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და
ბუნებრივი რესურსების კომისიის
თავმჯდომარე დავით ღაღანიძე;

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე დავით გოგოშვილი;

საკრებულოს ფრაქციის ,,ქართული ოცნება
- დემოკრატიული საქართველო"
თავმჯდომარე ლევან ლილუაშვილი

საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება
- მრეწველები" თავმჯდომარე ტიტე დარეჯანიშვილი

საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება
-კონსერვატორები" თავმჯდომარე მაია მარკოზაშვილი

საკრებულოს წევრები: ლევანი ოთოურიძე, ბაადური რევაზიშვილი, ალექსანდრე კუპატაძე, ლელა მენთეშაშვილი, არჩილი თვალიაშვილი, ბესიკი ქოჩიშვილი, გიორგი ჩაბრაშვილი, იოსებ პარწიკანაშვილი, გურამი წულუკიძე, ვასილი არაბული, ლევან მრელაშვილი, ზაქარია ყარასაშვილი, გოჩა წაწალაშვილი, გიგა მამუკელაშვილი, უჩა ჭოტიაშვილი, გიორგი ქიზიყელაშვილი, ზურაბ მუსაევი, ნიკოლოზ მაისურაძე, ბესიკ გაიპარაშვილი, ზურაბი ნაცარაშვილი (რეგისტრაციის ფურცელი თან ერთვის).

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: თელავის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე გიორგი თუშიშვილი, თელავის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ალექსანდრე საჩიშვილი, საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ნათია ვაყელიშვილი, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი გიორგი ენუქიძე, ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი გიორგი თავბერიძე, იურიდიული სამსახურის უფროსი ლევან ბერძენაშვილი, საკრებულოს აპარატის უფროსი ტარიელ გალახვარიძე, საკრებულოს აპარატის თანამშრომლები. მასობრივი საინფორმაციო საშუალებების წარმომადგენლები, ქალაქ თელავის, სოფელ რუისპირის და სოფელ იყალთოს მოსახლეობის წარმომადგენლები.

თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა

<u>დ ღ ი ს  წ ე ს რ ი გ ი:</u>

1. ,,თელავის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 10 იანვრის №01 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხს. ნ. ვაყელიშვილი
11.00სთ-დან 11.20სთ-მდე

2. თელავის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ.

მომხს. ნ. ვაყელიშვილი
11.20სთ-დან 11.40სთ-მდე

3. ,,თელავის მუნიციპალიტეტის ძეგლთა დაცვის 2018 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 08 თებერვლის N6 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. ვ. გაგნიძე
11.40სთ-დან 11.50სთ-მდე

4. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის 10 დადგენილებაში ,,თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი 2018 წლის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. გ. ენუქიძე
11.50სთ-დან 12.00სთ-მდე

5. თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ.

მომხს. ლ. ბერძენაშვილი

6. თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სამშენებლო სამუშაოების ან მშენებლობის ეტაპის მშენებლობის ნებართვით დადგენილ ვადაში დაუსრულებლობისთვის ჯარიმის ოდენობის განსაზღვრისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ.

მომხს. ლ. ბერძენაშვილი
12.10სთ-დან 12.20სთ-მდე

7. თელავის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ „თელავის მუნიციპალიტეტის სახელბურთო კლუბი თელავი"-ს მიმართ ლიკვიდაციის პროცესის განხორციელების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხს. ლ. ბერძენაშვილი
12.20სთ-დან 12.30სთ-მდე

8. თელავის მუნიციპალიტეტის 100 %-იანი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი მეწარმე იურიდიული პირების - შ.პ.ს. „თელავის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური"-ს და შ.პ.ს. „ინფრასტრუქტურის და კეთილმოწყობის სამსახური"-ს შერწყმის (გაერთიანების) მიზნით რეორგანიზაციის პროცესის განხორციელების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხს. ლ. ბერძენაშვილი
12.30სთ-დან 12.40სთ-მდე

9. ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 იანვრის 5 დადგენილების „ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა სამუშაოთა აღწერილობების ფორმის დამტკიცების შესახებ" ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.

მომხს. ლ. ბერძენაშვილი
12.40სთ-დან 12.50სთ-მდე

10. ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 სექტემბრის 33 დადგენილების „ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულების დამთავრების დამადასტურებელი დოკუმენტის - მოწმობის ფორმისა და მისი გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" და თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 თებერვლის 16 დადგენილების „თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულების დამთავრების დამადასტურებელი მოწმობის ფორმისა და მისი გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.

მომხს. ლ. ბერძენაშვილი
12.50სთ-დან 13.00სთ-მდე

შესვენება 13.00 სთ-დან 13.30 სთ-მდე

11. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის განსახორციელებლად გათვალისწინებული თანხების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ.

მომხს. მ. ბაღაშვილი
13.30სთ-დან 13.40სთ-მდე

12. თელავის მუნიციპალიტეტის მიერ გრანტის მიღების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხს. გ. თავზერიძე

13.40სთ-დან 13.50სთ-მდე

13. „თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი (ქონების) გადასახდის შემოღების შესახებ“ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის 08 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

მომხს. გ. თავზერიძე

13.50სთ-დან 14.00სთ-მდე

14. თელავის მუნიციპალიტეტის აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის, პირობებით აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის, ნასყიდობის ხელშეკრულების, მონაწილის ბილეთისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ფორმების დამტკიცების შესახებ.

მომხს. გ. თავზერიძე

14.00სთ-დან 14.10სთ-მდე

15. თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელის განაკვეთების დამტკიცების შესახებ.

მომხს. გ. თავზერიძე

14.10სთ-დან 14.20სთ-მდე

16. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შ.პ.ს „საქართველოს ფოსტა“-სთვის პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხს. გ. თავზერიძე

14.20სთ-დან 14.30სთ-მდე

17. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მიხეილ ჯიდალიშვილისთვის პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხს. გ. თავზერიძე

14.30სთ-დან 14.40სთ-მდე

18. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ნიკოლოზ რინკიაშვილისთვის პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხს. გ. თავზერიძე

14.40სთ-დან 14.50სთ-მდე

19. თელავის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ.

მომხს. ნ. ხვისტანი

14.50სთ-დან 15.00სთ-მდე

20. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 08 თებერვლის 13 დადგენილებაში„მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციულიან ბირთვული ობიექტების მშენებლობის) სანებართვო მოსაკრებლის შემოღებისა და სანებართვო მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. ნ. ხვისტანი

15.00სთ-დან 15.10სთ-მდე

21. თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების დგომის და საგზაო ნიშნების განთავსებისათვის ადგილების განმსაზღვრელი დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ.

მომხს. დ. ღაღანიძე

15.10სთ-დან 15.20სთ-მდე

ზ.ნაცარაშვილმა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე მოითხოვა სოფელ იყალთოს და სოფელ რუისპირის მოსახლეობისათვის პრობლემატური საკითხის განხილვა და აღნიშნა, რომ მოსახლეობა მოსულია და ელოდება პასუხს.

გ.ბოტკოველმა საკრებულოს მიმართა, რომ პირველ საკითხად განხილულ იქნეს მათ მიერ დაყენებული საკითხი.

ლ.ბერძენაშვილმა მოითხოვა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 19 ოქტომბრის N71 განკარგულებაში „თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გათვალისწინებული 2018 წლის საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე საკითხის შეტანა.

ბ.რევაზიშვილმა და ლ.მენთეშაშვილმა მოითხოვეს სხდომის ბოლოს განცხადებების გაკეთების უფლება.

დასახელებული საკითხების საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში დასამატებლად დაიწყო კენჭისყრის პროცედურები. აღნიშნული პროცედურა ვერ დასრულდა, რადგან გ.ბოტკოველმა დაიწყო ხმამაღალი განცხადებების გაკეთება, ჩაშალა კენჭისყრა და კვლავ მოითხოვა მათ მიერ დაყენებული საკითხის რიგგარეშედ განხილვა. საკრებულოს თავმჯდომარის მიერ გაკეთდა განმარტება, რომ საკითხი დღის წესრიგში ვერ იქნება შეტანილი პირველ საკითხად და მისი განხილვა შესაძლებელი იქნება დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდგომ.
გ.ბოტკოველის მოთხოვნას შეუერთდნენ საკრებულოს წევრი ზ.ნაცარაშვილი, სოფელ იყალთოს და სოფელ რუისპირის მოსახლეობის წარმომადგენლები, რამაც გამოიწვია საკრებულოს სხდომათა დარბაზში ხმაური, ქაოსი და წესრიგის დარღვევა. სხდომის თავმჯდომარის მიერ გ.ბოტკოველის მიმართ წესრიგის დაცვისა და სიმშვიდისკენ არაერთგზის მოწოდების მიუხედავად, სიტუაცია კიდევ უფრო დაიძაბა, რის გამოც საკრებულოს თავმჯდომარემ გამოაცხადა შესვენება და წესრიგის აღდგენის მიზნით გამოიძახა პოლიცია. პოლიციის წარმომადგენლების მიერ სიმშვიდისკენ მოწოდების მიუხედავად, მოხდა ფიზიკური დაპირისპირება ერთის მხრივ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრების: გ.ბოტკოველსა და საკრებულოს წევრ ბ.რევაზიშვილს და მეორეს მხრივ მოქალაქე გ.მოსიაშვილს შორის. პოლიციამ განმუხტა დაპირისპირება, წესრიგის

დამრღვევებს დაატოვებინეს დარბაზი და სხდომა გაგრძელდა მშვიდ ვითარებაში 11.30საათზე.

სხდომის განახლების შემდგომ საკრებულოს წევრებს ზ.რევაზიშვილს და ა.კუპატაძეს სხდომის მსვლელობაში მონაწილეობა არ მიუღიათ.

დღის წესრიგის დასამტკიცებლად ჩატარდა კენჭისყრა. აღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით დამტკიცდა დღის წესრიგი ( კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 02 წევრმა - ლ.მენთეშაშვილმა, ზ.ნაცარაშვილმა)

1.მოისმინეს: ,,თელავის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 10 იანვრის №01 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

მომხს. ნ. ვაყელიშვილი
11.30სთ-დან 11.50სთ-მდე

აზრი გამოთქვეს: გ.მამუკელაშვილმა, დ.გოგოშვილმა

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 26(ოცდაექვსი) წევრმა, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო - 02(ორი): ლ.მენთეშაშვილი, ა.თვალიაშვილი. კენჭისყრას არ ესწრებოდა - 01(ერთი) ზ.ნაცარაშვილი

2.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ.

მომხს. ნ. ვაყელიშვილი
11.50სთ-დან 12.10სთ-მდე

აზრი გამოთქვეს: დ.გოგოშვილმა, ა.თხლაშიძემ აღნიშნა, რომ მიუხედავად არსებული გარკვეული ხარვეზებისა 2017 წლის ბიუჯეტი უნდა შეფასდეს დამაკმაყოფილებლად.

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 26(ოცდაექვსი) წევრმა, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო - 03(სამი): ზ.ნაცარაშვილი, ლ.მენთეშაშვილი, ა.თვალიაშვილი.

3.მოისმინეს: ,,თელავის მუნიციპალიტეტის ძეგლთა დაცვის 2018 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ" თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 08 თებერვლის N6 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაოზაზე.

მომხს. ვ. გაგნიძე
12.10სთ-დან 12.20სთ-მდე

აზრი გამოთქვეს: გ.მამუკელაშვილმა და დ.ღაღანიძემ აღნიშნეს, რომ პროექტი საკმაოდ კარგადაა მომზადებული და მიმართულებებიც ძალიან საინტერესოა და მნიშვნელოვანია.

თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტი მდიდარია ისტორიული ძეგლებით და მნიშვნელოვანია თანხების მობილიზება სხვადასხვა საინტერესო ღონისძიების განსახორციელებლად.

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 26(ოცდაექვსი) წევრმა, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო - 03(სამი): ა.თვალიაშვილი, ლ.მენთეშაშვილი, ზ.ნაცარაშვილი.

4.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის 10 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი 2018 წლის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. გ. ენუქიძე

12.20სთ-დან 12.30სთ-მდე

აზრი გამოთქვეს: ლ.ლილუაშვილმა, გ.მამუკელაშვილმა

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 27(ოცდაშვიდი) წევრმა, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო - 02(ორი): ლ.მენთეშაშვილი, ზ.ნაცარაშვილი.

5.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ.

მომხს. ლ. ბერძენაშვილი

12.30სთ-დან 12.40სთ-მდე

აზრი გამოთქვეს: ი.პარწიკანაშვილმა, დ.ღაღანიძემ, გ.წულუკიძემ, გ.მამუკელაშვილმა აღნიშნა, რომ ერთ-ერთ კომპანიას, რომელიც აწარმოებს ნერგებს სურვილი აქვს თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განათავსოს მწვანე ნარგავები, ამიტომ კარგი იქნება თუ მერია გამოყოფს შესაბამის ნაკვეთებს.

ლ.მრელაშვილმა აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საჯარო სკოლების ეზოებში არსებული დაზიანებული ხეები საფრთხის შემცველია მოსწავლეებისა და პედაგოგებისათვის, ამიტომ დროულად უნდა გატარდეს შესაბამისი ღონისძიებები.

ზ.ნაცარაშვილმა ასევე ისაუბრა სოფელ რუისპირში არსებული პრობლემის შესახებ დაზიანებულ ხეებთან დაკავშირებით.

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 27(ოცდაშვიდი) წევრმა, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო - 02(ორი): ლ.მენთეშაშვილი, ზ.ნაცარაშვილი.

6.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სამშენებლო სამუშაოების ან მშენებლობის ეტაპის მშენებლობის ნებართვით დადგენილ ვადაში დაუსრულებლობისთვის ჯარიმის ოდენობის განსაზღვრისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ.

მომხს. ლ. ბერძენაშვილი

12.40სთ-დან 13.00სთ-მდე

აზრი გამოთქვეს: გ.მამუკელაშვილმა, ა.თვალიაშვილმა

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 27(ოცდაშვიდი) წევრმა, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო - 02(ორი): ლ.მენთეშაშვილი, ზ.ნაცარაშვილი.

7.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ „თელავის მუნიციპალიტეტის სახელბურთო კლუბი თელავი"-ს მიმართ ლიკვიდაციის პროცესის განხორციელების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხს. ლ. ბერძენაშვილი
13.00სთ-დან 13.10სთ-მდე

აზრი გამოთქვეს: ლ.კოჭლოშვილმა, გ.მამუკელაშვილმა

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 26(ოცდაექვსი) წევრმა, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო - 03(სამი): ზ.ნაცარაშვილი, ლ.მენთეშაშვილი, ა.თვალიაშვილი.

8.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის 100 %-იანი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი მეწარმე იურიდიული პირების - შ.პ.ს. „თელავის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური"-ს და შ.პ.ს. „ინფრასტრუქტურის და კეთილმოწყობის სამსახური"-ს შერწყმის (გაერთიანების) მიზნით რეორგანიზაციის პროცესის განხორციელების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხს. ლ. ბერძენაშვილი
13.10სთ-დან 13.20სთ-მდე

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 27(ოცდაშვიდი) წევრმა, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო - 02(ორი): ლ.მენთეშაშვილი, ზ.ნაცარაშვილი.

9.მოისმინეს: ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 იანვრის 5 დადგენილების „ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა სამუშაოთა აღწერილობების ფორმის დამტკიცების შესახებ" ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.

მომხს. ლ. ბერძენაშვილი
13.20სთ-დან 13.30სთ-მდე

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 27(ოცდაშვიდი) წევრმა, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო - 02(ორი): ლ.მენთეშაშვილი, ზ.ნაცარაშვილი.

10.მოისმინეს: ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 სექტემბრის 33 დადგენილების „ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულების დამთავრების დამადასტურებელი დოკუმენტის - მოწმობის ფორმისა და მისი გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" და თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 თებერვლის 16 დადგენილების „თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის

წესის დამტკიცების შესახებ" მალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.

მომხს. ლ. ბერძენაშვილი
13.30სთ-დან 13.40სთ-მდე

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 27(ოცდაშვიდი) წევრმა, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო - 02(ორი): ლ.მენთეშაშვილი, ზ.ნაცარაშვილი.

11.მოისმინეს: ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის განსახორციელებლად გათვალისწინებული თანხების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ.

მომხს. მ. ბაღუაშვილი
13.40სთ-დან 13.50სთ-მდე

აზრი გამოთქვეს:

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 26(ოცდაექვსი) წევრმა, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო - 03(სამი): ზ.ნაცარაშვილმა, ლ.მენთეშაშვილმა, ა.თვალიაშვილმა.

12.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის მიერ გრანტის მიღების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხს. გ. თავბერიძე
13.50სთ-დან 14.00სთ-მდე

აზრი გამოთქვეს: ლ.კოჭლოშვილმა დასვა კითხვა იმ ორგანიზაციებთან დაკავშირებით, რომელიც არის გრანტის გამცემი.

მომხსენებელმა და თავმჯდომარემ კითხვასთან დაკავშირებით გააკეთეს შესაბამისი განმარტებები.

ლ.მენთეშაშვილმა დასვა კითხვა „ქალთა ოთახი"-ს ფუნქციებთან და ხელმძღვანელის დანიშვნასთან დაკავშირებით.

ლ.ბერძენაშვილმა ისაუბრა იმ მიზნებზე, რომელსაც მოემსახურება აღნიშნული „ქალთა ოთახი" და განმარტა, რომ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან არ იქნება საჭირო ხელმძღვანელის თანამდებობრივი სარგოსათვის თანხის გამოყოფა, რადგან მის ფუნქციებს შეითავსებს მერიის გენდერულ საკითხებზე მომუშავე თანამშრომელი.

გრანტის მიღების მიზანშეწონილობის საკითხის თაობაზე კი თავიანთი უარყოფითი პოზიცია დააფიქსირეს ლ.კოჭლოშვილმა და გ.მამუკელაშვილმა.

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 22(ოცდაორი) წევრმა, წინააღმდეგი: 02(ორი)-ზ.ნაცარაშვილი,გ.წაწალაშვილი.

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო - 05(ხუთი): გ.მამუკელაშვილი,

13.მოისმინეს: „თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი (ქონების) გადასახდის შემოღების შესახებ“ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის 08 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. გ. თავზერიძე
14.00სთ-დან 14.10სთ-მდე

აზრი გამოთქვეს: ა.თვალიაშვილმა

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 26(ოცდაექვსი) წევრმა, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო - 03(სამი): ლ.მენთეშაშვილი, ზ.ნაცარაშვილი, ა.თვალიაშვილი,

14.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის, პირობებით აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის, ნასყიდობის ხელშეკრულების, მონაწილის ბილეთისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ფორმების დამტკიცების შესახებ.

მომხს. გ. თავზერიძე
14.10სთ-დან 14.20სთ-მდე

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 26(ოცდაექვსი) წევრმა, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო - 03(სამი): ლ.მენთეშაშვილმა, ზ.ნაცარაშვილმა, ა.თვალიაშვილმა,

15.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელის განაკვეთების დამტკიცების შესახებ.

მომხს. გ. თავზერიძე
14.20სთ-დან 14.30სთ-მდე

აზრი გამოთქვეს: გ.მამუკელაშვილმა

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 27(ოცდაშვიდი) წევრმა, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო - 02(ორი): ლ.მენთეშაშვილმა, ზ.ნაცარაშვილმა.

16.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შ.პ.ს „საქართველოს ფოსტა“-სთვის პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხს. გ. თავზერიძე
14.30სთ-დან 14.40სთ-მდე

აზრი გამოთქვეს: ა.თვალიაშვილმა, ბ.ქორიშვილმა

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 27(ოცდაშვიდი) წევრმა, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო - 02(ორი): ლ.მენთეშაშვილმა, ზ.ნაცარაშვილმა.

17.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მიხეილ ჯიდალიშვილისთვის პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხს. გ. თავბერიძე

14.40სთ-დან 14.50სთ-მდე

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 28 (ოცდარვა) წევრმა, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო - 01(ერთი): ლ.მენთეშაშვილმა.

18.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ნიკოლოზ რინკიაშვილისთვის პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხს. გ. თავბერიძე

14.50სთ-დან 15.00სთ-მდე

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 28(ოცდარვა) წევრმა, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო - 01(ერთი): ლ.მენთეშაშვილმა.

19.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ.

მომხს. ნ. ხვისტანი

15.00სთ-დან 15.10სთ-მდე

აზრი გამოთქვეს: ლ.მენთეშაშვილმა დასვა კითხვა საბჭოს შემადგენლობაში გაწევრიანებისათვის საჭირო პროცედურების შესახებ.

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 26(ოცდაექვსი) წევრმა, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო - 03(სამი): ა.თვალიაშვილმა, ლ.მენთეშაშვილმა, ზ.ნაცარაშვილმა.

20.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 08 თებერვლის 13 დადგენილებაში,,მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციულიან ბირთვული ობიექტების მშენებლობის) სანებართვო მოსაკრებლის შემოღებისა და სანებართვო მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. ნ. ხვისტანი

15.10სთ-დან 15.20სთ-მდე

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 26(ოცდაექვსი) წევრმა, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო - 03(სამი): ა.თვალიაშვილმა, ლ.მენთეშაშვილმა, ზ.ნაცარაშვილმა.

21.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების დგომის და საგზაო ნიშნების განთავსებისათვის ადგილების განმსაზღვრელი დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ.

მომხს. ლ. თათანიძე

დაადგინეს: შეიქმნას სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

1. დავით ღაღანიძე - თავმჯდომარე
2. გიორგი ჩაზრაშვილი
3. გიორგი ქიზიყელაშვილი
4. ტიტე დარეჯანიშვილი
5. ზურაბი ნაცარაშვილი
6. არჩილი თვალიაშვილი
7. გოჩა წაწალაშვილი
8. გიგა ორკოდაშვილი

დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა).

22.მოისმინეს: თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 19 ოქტომბრის N71 განკარგულებაში „თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გათვალისწინებული 2018 წლის საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე საკითხის შეტანა.

მომხს. ლ.ბერძენაშვილი
15.30სთ-დან 15.40სთ-მდე

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 27(ოცდაშვიდი) წევრმა, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო - 02(ორმა): ლ.მენთეშაშვილმა, ზ.ნაცარაშვილმა.

22.მოისმინეს: სხვადასხვა

1. ლ.მენთეშაშვილი - მან აღნიშნა, რომ ინვესტორის შემოსვლა კარგია, მაგრამ არ უნდა შეეწიროს ხალხის ინტერესი.

მან ასევე ისაუბრა სტიქიის შემდგომ დაზიანებული საცხოვრებელი სახლების შესახებ.

აღნიშნულთან დაკავშირებით მერის მოადგილემ გ.თუშიშვილმა აღნიშნა, რომ დარჩენილია რამოდენიმე ობიექტი, რომელთა შეკეთებაც უახლოეს მომავალში მოხდება.

სოფელ კისისხევის მაჟორიტარმა დეპუტატმა ზ.ყარასაშვილმა აღნიშნა, რომ საცხოვრებელი სახლი, რომელზეც ისაუბრა ლ.მენთეშაშვილმა შეკეთებულია და მას არასწორად მიაწოდეს ინფორმაცია.

2. ლ.მრელაშვილი - მან აღნიშნა, რომ საბავშვო ბაღებში ბავშვების გახანგრძლივებულ ჯგუფებში,დატოვებასთნ დაკავშირებით არის გარკვეული პრობლემები, ამიტომ უნდა ეთხოვოს მერიას, კონტროლზე აიყვანოს აღნიშნული საკითხი.

3. ლ.ჭბილაშვილმა - მან ისაუბრა უპატრონო ძაღლების პრობლემის შესახებ

ამიტომ აუცილებლად უნდა შეიქმნას უპატრონო ძაღლების თავშესაფარი.

4. ზ.ნაცარაშვილმა ისაუბრა სოფელ რუისპირის და იყალთოს მოსახლეობის წინაშე მდგარი პრობლემების შესახებ. მან აღნიშნა, რომ ტერიტორიები რომელსაც მოსახლეობა იყენებდა საძოვრად გაიყიდა გარკვეულ ვითარებაში კერძო პირებზე, მოსახლეობა მოითხოვს ადგილობრივი ხელისუფლებიდან რეაგირებას.

ვინაიდან საკრებულო წარმოადგენს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით ორგანოს მან უნდა უშუამდგომლოს მოსახლეობას ზემდგომ ორგანოებთან, რათა ორივე მხარისათვის მისაღები პირობებით მოხდეს საკითხის გადაჭრა.

ა.თხლაშიძემ აღნიშნა, რომ სოფელ რუისპირის და იყალთოს მოსახლეობის წინაშე მდგარი პრობლემების შესახებ დაყენებული საკითხი საკრებულოს კომპეტენციაში არ შედის , შესაბამისად საკრებულო აღნიშნულ საკითხზე ვერ იმსჯელებს.

თავმჯდომარის მოსაზრებას მხარი დაუჭირეს საკრებულოს წევრებმაც.

საკრებულოს თავმჯდომარე არჩილი თხლაშიძე